გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით
სარჩელის წარმოებაში მიღების,
დასაშვებად ცნობის, განხილვის ვადის გაგრძელებისა და მტკიცებულებათა გამოთხოვის შესახებ
15 დეკემბერი, 2023 წელი
თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
მოსამართლე ვალერიანე ფილიშვილი

მოსარჩელე - ააიპ „მწვანე ალტერნატივა“

მოპასუხე - სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

მოპასუხე - გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

დავის საგანი - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

სასამართლომ, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ააიპ „მწვანე ალტერნატივა“-ს მიერ აღძრული სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხი

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

2023 წლის 11 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაცულ საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მომართა ააიპ „მწვანე ალტერნატივა“-ს, მოპასუხეების სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრისა და სგარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართ და მოითხოვა:
1. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დირექტორი მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 17 ოქტომბრის №01/1/2624 გადაწყვეტილება;
2. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დირექტორი მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილება №01/1/2811;
3. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს დაევალოს ააიპ „მწვანე ალტერნატივა“-ს 2023 წლის 9 ოქტომბრის №23/09/03-121 და 2023 წლის 19 ოქტომბრის №23/09/03-122 განცხადებებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გადმოცემა;
4. ბათილად იქნას ცნობილი გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

2023 წლის 1 დეკემბრის №9553/01 გადაწყვეტილება (წერილი), რომლითაც არ დაკმაყოფილდა ააიპ „მწვანე ალტერნატივა“-ს ადმინისტრაციული საჩივარი.

სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი სარჩელი პასუხობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს და მიღებული უნდა იქნეს სასამართლო წარმოებაში.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26^2 მუხლის შესაბამისად სასამართლო სარჩელის წარმოებაში მიღების ეტაპზე ამ კოდექსის 22-25-ე მუხლებით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით წყვეტს სარჩელის დასაშვებობის საკითხს.

განსახილველ შემთხვევაში სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელი აკმაყოფილებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე-25-ე მუხლებით დადგენილ დასაშვებობის მოთხოვნებს და ამ ეტაპზე დასაშვებად უნდა იქნეს ცნობილი.

ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების გათვალისწინებით, სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოდან დამატებითი მტკიცებულებების სახით გამოთხოვილ უნდა იქნეს ადმინისტრაციული წარმოების მასალები.

ამავე კოდექსის მე-20 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, სასამართლოს მოთხოვნით წარუდგინოს მას საქმის განხილვისა და გადაწყვეტისათვის აუცილებელი დოკუმენტები და სხვა ინფორმაცია.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის განხილვის ვადა უნდა გაგრძელდეს 5 (ხუთ) თვემდე.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-13, მე-16, 22-25-ე, 26^2-ე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 446-ე, 205-ე, 284-ე, 285-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. **ააიპ „მწვანე ალტერნატივა”-ს** სარჩელი მიღებულ იქნეს სასამართლო წარმოებაში და ამ ეტაპზე დასაშვებად იქნეს ცნობილი;

2. მოპასუხეს დაევალოს 10 დღის ვადაში წერილობითი პასუხისა (შესაგებელი) და სადავო საკითხთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მასალების სრულად წარმოდგენა;

3. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის თანახმად, მოპასუხე მხარეს გადაეგზავნოს სარჩელისა და მასზე თანდართული დოკუმენტების ასლები;

4. საქმის განხილვის ვადა გაგრძელდეს 5 (ხუთ) თვემდე;

5. განჩინება არ საჩივრდება.

მოსამართლე **ვალერიანე ფილიშვილი**